

ქ. თბილისი

01 ოქტომბერი 2018 წელი

სხდომას ესწრება 5 წევრი და 2 მოწვეული სპეციალისტი:

- ზურაბ ბაბუციძე
- შოთა მამრიკიშვილი
- ნუკრი პავლიაშვილი
- ტარიელ გამყრელიძე
- მიხეილ ჯავახიშვილი
- რემი ცირეკიძე (მოწვეული სპეციალისტი)
- გიორგი ახალკაცი (მოწვეული სპეციალისტი)

სასამართლოს თავმჯდომარემ შოთა მამრიკიშვილმა სხდომას მოახსენა, რომ შემოსულია საჩივარი დავით ბაგრატიონის მხრიდან, რომელიც მონაწილეობდა წრიულ რბოლაში ფორმულას კლასში. მისი საჩივარი შეეხება შედეგის დაფიქსირებას. ის არ ეთანხმება შეჯიბრების ხელმძღვანელობის და კომისრების გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მას დაუფიქსირეს მე-3 შედეგი და მრბოლელის აზრით მას უნდა დაფიქსირებოდა მე-2 შედეგი, ვინაიდან მას ჰქონდა დასრულებული 7 წრე, რომლის მერეც შეჯიბრების ხელმძღვანელობის მითითებით ტრასაზე ნაჩვენები იყო წითელი დროშები.

სასამართლო განხილვაზე წარმოდგენილი იქნა რბოლის ვიდეო ჩანაწერი ბაგრატიონის ბოლიდიდან. სასამართლოს ესწრებოდა 2 მოწვეული სპეციალისტი.

სხდომის წევრებმა იმსჯელეს და დაადგინეს:

- დაკმაყოფილდეს მომჩივანი მხარის განცხადება. ვინაიდან მე-8 წრე დაასრულა მხოლოდ რბოლის ლიდერმა და ამის შემდეგ იქნა ნაჩვენები წითელი დროშები, რომლის შედეგადაც რბოლა შეწყდა, შეჯიბრების მონაწილეებს არ ჰქონდათ დასრულებული მე-8 წრე (ამაზე მეტყველებს რბოლის ქრონომეტრაჟის ჩანაწერიც), რბოლის შედეგი უნდა დაფიქსირდეს მე-7 წრის შედეგით;

ზურაბ ბაბუციძე

შოთა მამრიკიშვილი

ნუკრი პავლიაშვილი

ტარიელ გამყრელიძე

მიხეილ ჯავახიშვილი

რემი ცირეკიძე (მოწვეული სპეციალისტი)

გიორგი ახალკაცი (მოწვეული სპეციალისტი)